ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის
ოქმი № 23

15 იანვარი , 2019 წელი
15 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ლია ღონღაძე

ნანა ნადირაძე

ბაკურ კანდელაკი

გაიანე ვირეგიანი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ
2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
11. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ
12. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვამდე სახელდების პროცედურების შესახებ ისაუბრა, თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს კომისიაში ნებისმიერი მოქალაქის განცხადებამ ვიდრე უსახელო ქუჩას კომისია სახელის მიანიჭებს.

თინათინ ნიბლოშვილმა ასევე განმარტა, რომ კომისია რეგულარულად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურთან. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში კომისიის მიერ არაერთი ქუჩა დამისამართდა და არაერთ მოქალაქეს მოეხსნა მისამართის პრობლემა.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა.

1. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად სამგორის რაიონში, ე.წ. აფრიკის დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი განიხილეს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, უსახელო ტერიტორია მდებარეობს ცაცა ამირეჯიბის II შესახვევთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ხსენებული შესახვევის გაგრძელება. მსახიობის, საქართველოს სახლხო არტისტის ცაცა ამირეჯიბის სახელი კი კომისიის გადაწყვეტილებით ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ სამ შესახვევს და ჩიხს 2014 წელს მიენიჭა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ცაცა ამირეჯიბის II შესახვევი.

2. **ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე მოქალაქე დავით ბიჭიკაშვილის განცხადება განიხილეს და მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით უსახელო ტერიტორიის სახელდებაზე იმსჯელეს. თინათინ ნიბლოშვილმა უსახელო ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი წარმოადგინა და აღნიშნა, რომ უსახელო ტერიტორია განაშენიანების პროცესშია, მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან და მასთან განვითარებულია ცხრა შესახვევი. მიმდებარედ ქუჩები ატარებს

მუხის, თუთის და ტირიფის სახელს. თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ცხრა შესახვევს ცაცხვების სახელი მიენიჭება.

კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ცხრა შესახვევს მიენიჭოს ცაცხვების სახელი

3. **ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიამ კომისიურ რეჟიმში უკვე იმსჯელა და მხარი დაუჭირა ზემოხსენებული სახელდების განხორციელებას. უსახელო ტერიტორია მდებარეობს ელიას მთის და ზეთისხილის ქუჩასთან, უსახელო ქუჩისთვის და მასთან განვითარებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭება თემატურია.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მოქალაქე ლია ღონღაძე. როგორც მან აღნიშნა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურვილი იყო უსახელო ქუჩისთვის ბერეწმინდას სახელის მინიჭება („ბერეწმინდა“ დასახლების სახელია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში).

თინათინ ნიბლოშვილმა მოქალაქეს სახელდების პროცედურების შესახებ განუმარტა (კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსულ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელდებისთვის სასურველი სახელი ან სახელები და ასევე მოქალაქეთა ხელმოწერები, რასაც შემდგომ კომისია კომისიურ რეჟიმში განიხილავს და თანხმობის შემთხვევაში აუცილებლად აცნობებს განმცხადებელს, რომელიც დაესწრება საკითხის საჯარო განხილვას).

თინათინ ნიბლოშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტული განცხადება სახელდებისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურმა გადმოგვიგზავნა, კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა უსახელო ტერიტორია და შეარჩია სახელი კომისიის წევრების ჩართულობით და მათივე მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიას აზრით, „უსახელო ქუჩები, რომლებსაც ჩვენ სახელებს ვანიჭებთ, ჩნდება და ვითარედება თბილისში და დროთა განმავლობაში ქმნის თბილისის ისტორიას“.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სახელი ბერეწმინდა კონკრეტული რაიონისთვის დამახასიათებელი ტოპონიმია და თბილისთან შესატყვისი არაა.

ლია ღონღაძემ მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ გასასვლელს მიენიჭოს კვიპაროსის სახელი.

4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად მოქ. გივი ალიხანაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით იმსჯელეს, რომელიც კომისიას სახელდებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსმა გამოუგზავნა.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფ. ნასაგურში, აფხაზეთის ქუჩასთან. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და სახელდებისთვის შერჩეულ იქნა ტამიშის სახელი. ტამიში სოფელია ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში და როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთთან კავშირის მქონე სახელის მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ტამიშის სახელი.

5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნობლოშვილმა აღნიშნა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი, რომლის სახელდებასაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახური მოქ. ლეილა ჭუმბურიძის განცხადების საფუძველზე ითხოვს, მდებარეობს ოქროყანაში, სატყეოს ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ იქ სადაც ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა შესახვევი, გასასვლელი ან ჩიხი, განვითარებულ უსახელო ტერიტორიას კომისიის ინიციატივით ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, გაგრძელდეს სატყეოს ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს სატყეოს სახელი.

6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა მოქ.ლაშა ბერიკაშვილის განცხადება წარმოადგინა, რომელმაც უსახელო ქუჩის სახელდების მოთხოვნით ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურს მიმართა.

კომისიურ რეჟიმში განცხადების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ძველი ვეძისის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ძველი ვეძისის I ჩიხის სახელი.

7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია მოქ. გაიანე ვირებიანის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიაზე საკითხის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს კორნელი სანაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს კორნელი სანაძის ქუჩის ჩიხს.

კომისიის სხდომას ესწრებოდა გაიანე ვირებიანი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მხარდაჭერისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს კორნელი სანაძის III ჩიხის სახელი.

8. **ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად სამგორის რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი განიხილეს. აღნიშნული მოთხოვნით კომისიას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურმა თენგიზ ელიზბარაშვილის განცხადების საფუძველზე მომართა.

როგორც ტერიტორიის შესწავლის პროცესში გაირკვა, განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სადგერის და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსული მოქალაქე ბაკურ კანდელაკის განცახდებაც წარმოადგინა, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩისთვის პოლიტიკოსის, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭებას.

განცხადებას ერთვის ვრცელი და დეტალური ბიოგრაფია ყადირ შერვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია ათეულობით მოქალაქის ხელმოწერა ხსენებული სახელდების მხარდასაჭერად.

ბაკურ კანდელაკმა, რომელიც საკითხის საჯარო განხილვას ესწრებოდა კიდევ უფრო ვრცლად ისაუბრა ყადირ შერვაშიძის მოღვაწეობაზე. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისიურ რეჟიმში საკითხის განხილვისას, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკმაოდ მასშტაბურ უსახელო ქუჩას სამგორის რაიონში მიანიჭოს ყადირ შერვაშიძის სახელი.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია კიდევ ერთხელ გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებული ოთხ გასასვლელს და ერთ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელი

9. **ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად კოჯორში უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი განიხილეს. სახელდების მოთხოვნით მოქ. მიხეილ გაბუნიამ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურს მიმართა.

კომისიის სხდომაზე ასევე მოქ. ნუნუ ქოსაძე-ანდრონიკაშვილის წერილი განიხილეს, რომლითაც ითხოვს კოჯორში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიის სხდომაზე მოქალაქეთა წერილების პარალელურად ეკატერინე ჩოლოყაშვილის ბიოგრაფია განიხილეს და შესაძლო სახელდებაზე იმსჯელეს. როგორც ცნობილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და, ეკატერინე მისი ძმის ფაქტორის გამო სისტემატურ შევიწროვებას განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ამ ფაქტის გამო ოჯახი საცხოვრებლად კოჯორში გადავიდა. ეკატერინე ჩოლოყაშვილმა დარჩენილი ცხოვრება კოჯორში საზოგადოებრივ საქმიანობას დაუთმო.

მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე დაყრდნობით კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელი.

10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის N115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა. როგორც ცნობილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე განახორციელა ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭება. საქმისწარმოების პროცესში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურიდან 2018 წლის 9 მარტს გამოთხოვილი იქნა სიტუაციური ნახაზი (წერილი N 07-0118068162).

მასალების დამუშავების პერიოდისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში გზას არ კვეთდა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. ხსენებულ საკითხზე კომისიის სხდომა ჩატარდა მ/წლის 23 აპრილს, რის შემდგომაც განხორციელდა ქუჩის სახელდება. მოგვიანებით გაირკვა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 18 იანვრის N№-525 მოწმობის საფუძველზე ბ. მ. ამხანაგობა „ატრიუმის" სასარგებლოდ გაცემული იყო საკუთრების უფლება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის თანადროულად (2018 წლის 24 აპრილი).

გამომდინარე იქიდან, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სახელდება დაუშვებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო N115 განკარგულების დანართის მომზადების დროს დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ქუჩის განვითარების არეალში მოექცა ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას.

კომისიის წევრებმა საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა

11. **ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე მოქალაქე თეიმურაზ გეთიას წერილთან დაკავშირებით იმსჯელეს. სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ გიორგი ტაბატაძემ მოითხოვა სოფ. ტაბახმელაში თეიმურაზ გეთიას უძრავ ქონებასთან გამავალი უსახელო ქუჩის სახელდება.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ უსახელო ტერიტორიასთან მიმდებარე ქუჩები ატარებს იუნკერთა სახელებს. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივას უსახელო ქუჩისთვის იუნკერის, შტაბის კაპიტნის, 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე დაღუპული ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელი.

12. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

მოისმინეს: როგორც ცნობილია, 2018 წლის 11 სექტემბრის N 297 განკარგულებით თბილისის საკრებულომ დიდუბის რაიონში აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიანიჭა აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელი.

განკარგულების მოომზადების პროცესში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ „ა“ პუნქტში ნაცვლად ჩანაწერისა „დიდუბის“ რაიონში ჩაიწერა “საბურთალოს რაიონში“.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ზემოხსენებული ხარვეზის გასწორებას და დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

დასასრულს, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

15 იანვარი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	ქ. ქოქოლა
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი